პრეს რელიზი #13/01.04.2011

ერთად დავეხმაროთ საქართველოს მოსახლეობას დაიცვას საკუთრების უფლება!

ანგარიშის პრეზენტაცია "საკუთრების უფლების დაცვის პრობლემა საქართველოში" (გონიოს მაგალითი)

დრო: 5 აპრილი, 14:00-15:30სთ

ადგილი: სასტუმრო "თბილისი მარიოტი", წვეულებათა დარბაზი

4 აპრილი, 2011. თბილისი- საკუთრების უფლების დაცვის პრობლემა საქართველოში განსაკუთრებით მწვავედ მას შემდეგ დადგა, რაც სვანეთის, ანაკლიის, გონიოსა და შავი ზღვის მიმდებარე ტერიტორიები ტურისტულ ზონებად გამოცხადდა და ინფრასტრუქტურული განვითარების ფართომასშტაბიანი პროექტები დაიწყო. გაიზარდა პოტენციურ ინვესტორთა დაინტერესებაც, რაც ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას ქმნის. თუმცა, გარდა დადებითი შედეგისა, აღნიშნული ტერიტორიების ტურისტულ ზონებად გადაქცევას ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები შეეწირა.

ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრების მიმართ გამძაფრებული ინტერესის ფონზე, არაერთხელ დაფიქსირდა ამგვარ ზონებში საკუთრების უფლების შელახვის ფაქტები.

საჭირო გახდა ამ პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან დაუყოვნებელი რეაგირება. ოთხმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" დახმარებით პროექტის "საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა" განხორციელება დაიწყო და ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრების საფუძველზე საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტებს შეისწავლის. ასევე აგროვებენ ინფორმაციას კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით.

კვლევის პირველი ეტაპის შედეგები საზოგადოებას 5 აპრილს წარედგინება. ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია გონიოში 271 მოქალაქისათვის 2007-2010 წლებში საჩუქრად გადაცემული და დაკანონებული მიწების უკან ჩამორთმევის შემთხვევაზე. ანგარიში ამ შემთხვევის სამართლებრივ შეფასებას და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან კავშირის ანალიზს გვთავაზობს.

შესწავლის პროცესშია სვანეთის შემთხვევები, სადაც მოსახლეობა უძრავ ქონებას საუკუნეების განმავლობაში "ტრადიციულ საკუთრებაში" ფლობდა და, როგორც წესი, ეს ქონება რეგისტრირებული არ არის.

პრეზენტაციას დაესწრებიან საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ხელისუფლების, მედიის, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.

"ჩვენ გვსურს, რომ საზოგადოების ყურადღების მიღმა არ დარჩეს საკუთრების შელახვის ფაქტები, რომ მოვახდინოთ ამგვარი შემთხვევების პრევენცია და აღმოფხვრა. გვინდა რეკომენდაციები შევთავაზოთ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, რომ მსგავსი საკითხების გადაწყვეტა მოხდეს სისტემურად"- ამბობს თინიკო ბოლქვაძე, ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" წარმომადგენელი.

პროექტი ხორციელდება ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" მხარდაჭერით ასოციაციის "მწვანე ალტერნატივა", "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის", "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" და "საქართველოს რეგიონული მედია ასოციაციის" მიერ.

კონტაქტი: ანა ტოკლიკიშვილი, ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო". ტელ: 895 221 999
ელ.ფოსტა: Anuka@osgf.ge ; www.osgf.ge